

შეტკობინება მეექვსე

ქრისტე როგორც ჩვენი შაბათის მოსვენება,
ნაჩვენები ქანაანის კეთილი მიწის წინასახეში

ადგილები წერილიდან: ებრ. 3:7–4:13

- I. თუ ჩვენ გვინდა, რომ გვექონდეს სათანადო გაგება შაბათის მოსვენებისა ებრაელთა მიმართ წერილში, ჩვენ უნდა ვიცოდეთ შაბათის მოსვენების პირველად ხსენების მნიშვნელობა ბიბლიაში – დაბ. 2:2-3:
- ა. ღმერთმა მოისვენა მეშვიდე დღეს, რადგან მან დაასრულა თავისი სამუშაო და იყო დაკმაყოფილებული; ღმერთის დიდება იყო გამოვლენილი, რადგან ადამიანს ჰქონდა ღმერთის სახება და ის მზად იყო, გამოეყენებინა ღმერთის ძალაუფლება ღმერთის ბატონობასთან ერთად, რათა დაემორჩილებინა ღმერთის მტერი – 1:26.
 - ბ. როდესაც დედამიწაზე არის ისეთი სიტუაცია, რომელშიც ადამიანი გამოხატავს ღმერთს და წარმოადგენს ღმერთს, ეს სიტუაცია არის შაბათის მოსვენება ღმერთისათვის; შაბათის მოსვენება არის უბრალოდ დაკმაყოფილება ღმერთისა მის გულის სურვილში – მუხ. 26-28; ებრ. 2:6-8ა.
 - გ. დღე, რომელიც ღმერთისათვის იყო მეშვიდე, ადამიანისათვის იყო პირველი; თავისი შექმნის შემდეგ ადამიანი არ შეუერთდა ღმერთის სამუშაოს, არამედ შევიდა ღმერთის მოსვენებაში; ადამიანი იყო შექმნილი არა იმისათვის, რომ ემუშავა, არამედ იმისათვის, რომ დაკმაყოფილებულიყო ღმერთით და მოესვენა ღმერთთან ერთად – შდრ. მათე 11:28-30.
 - დ. შაბათი აღნიშნავს, რომ ღმერთმა უკვე გააკეთა ყველაფერი, დაასრულა ყველაფერი და მოამზადა ყველაფერი და რომ ადამიანს უნდა შეეწყვიტა მთელი თავისი სამუშაო; შაბათის დაცვა ნიშნავს ჩვენი სამუშაოს შეწყვეტას და მიღებას ღმერთისა და ყველაფრის, რაც მან დაასრულა ჩვენთვის, როგორც ჩვენი ტკობოს, მოსვენებისა და დაკმაყოფილების; ზუსტად ეს არის ღმერთის სახლმშენებლობა – გამ. 20:8.
 - ე. ახალი იერუსალიმი იქნება ღმერთის საბოლოო და მარადიული შაბათის მოსვენება, რადგან იქ ყველა გამოსყიდული წმიდანი მთლიანად გამოხატავს ღმერთს დიდებაში და იმეფებს ღმერთის ძალაუფლებით მარადიულად – გამოცხ. 21:10-11; 22:1, 4ა, 5ბ.
- II. შაბათის მოსვენება არის ქრისტე როგორც ჩვენი მოსვენება, ნაჩვენები ქანაანის კეთილი მიწის წინასახეში (რჯლ. 12:9; ებრ. 3:7–4:13); ქრისტე არის მოსვენება წმიდანებისათვის სამ ეტაპზე:
- ა. ეკლესიის საუკუნეში ზეციური ქრისტე, ის, ვინც გამოხატავდა, წარმოადგენდა და აკმაყოფილებდა ღმერთს და ვინც ისვენებს თავისი სამუშაოსაგან და ზის ღმერთის მარჯვნივ ზეცაში, არის ჩვენთვის მოსვენება ჩვენს სულში (მათე 11:28-29); შაბათის მოსვენება ებრ. 4:9-ში არის ქრისტე როგორც ჩვენი მოსვენება, ნაჩვენები ქანაანის კეთილი მიწის წინასახეში (რჯლ. 12:9; ებრ. 4:8).
 - ბ. ათასწლეულ სამეფოში, მას შემდეგ, რაც სატანა იქნება მოშორებული დედამიწიდან (გამოცხ. 20:1-3), ღმერთი იქნება გამოხატული, წარმოდგენილი და დაკმაყოფილებული ქრისტეთი და გამარჯვებული წმიდანებით; მაშინ ქრისტე სამეფოთი იქნება მოსვენება უფრო სრულად გამარჯვებული წმიდანებისათვის, რომლებიც იქნებიან მეფეები მასთან ერთად (მუხ. 4, 6) და გაიზიარებენ და დატკბებიან მისი მოსვენებით.
 - გ. ახალ ზეცასა და ახალ მიწაზე, მას შემდეგ, რაც ყველა მტერი, მათ შორის სიკვდილი, უკანასკნელი მტერი, დაემორჩილებიან მას (1 კორ. 15:24-27), ქრისტე,

როგორც ყველაფერზე გამარჯვებული მარადიულად იქნება მოსვენება ყველაზე სრული დონით ღმერთის ყველა გამოსყიდულისათვის.

დ. შაბათის მოსვენება, ნახსენები ებრ. 4:8-9-ში, მიუთითებს ქრისტეზე როგორც ჩვენს მოსვენებაზე პირველი ორი ეტაპის განმავლობაში, და განსაკუთრებით მეორეზე – მოსვენება, რომელიც რჩება ჩვენთვის, რათა ჩვენ გულმოდგინედ ვეძებოთ ის და შევიდეთ მასში:

1. მოსვენება პირველ ორ სტადიაზე – არის ჯილდო მათთვის, ვინც გულმოდგინედ ეძებს უფალს, ვინც ტკბება მისით სრულად და ხდება გამარჯვებული; მოსვენება მესამე ეტაპზე ეს არ არის ჯილდო, ეს არის სრული წილი, რომელსაც დებულობს ყველა გამოსყიდული.
2. ქრისტეს როგორც ჩვენი მოსვენების მეორე ეტაპზე, მას მოპოვებული აქვს მთელი დადემიწა როგორც თავისი მემკვიდრეობა და ხდის მას თავის სამეფოდ ათასი წლის განმავლობაში – ფსალ. 2:8; ებრ. 2:5-6.
3. მეორე ეტაპზე ქრისტეს როგორც ჩვენი მოსვენებისა, ყველა მისი გამარჯვებული მორწმუნე, რომლებიც ეძებენ მას როგორც თავის მოსვენებას და ტკბებიან მისით როგორც თავისი მოსვენებით პირველ სტადიაზე, მონაწილეობას მიიღებენ მის მეფობაში ათასწლეულში (გამოცხ. 20:4, 6; 2 ტიმ. 2:12); ისინი დაიმკვიდრებენ დედამიწას (მათე 5:5; ფსალ. 37:11; ლუკა 19:17, 19), და ისინი ეზიარებიან თავიანთი უფლის სიხარულს (მათე 25:21, 23).

III. ჩვენ უნდა მოვუხსინოთ უფლის მიერ ნათქვამს მათეს 11:28-30-ში: „მოდიოთ ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე მოგასვენებთ თქვენ! იტვირთეთ ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან, რადგან მშვიდი და გულით თავმდაბალი ვარ, და ჰპოვებთ თქვენი სამშვიინველის სიმშვიდეს. ვინაიდან ჩემი უღელი სასიამოვნოა და ჩემი ტვირთი მსუბუქი!“

- ა. სიტყვებში „მაშვრალნო“ იგულისხმება არა მარტო ადამიანის შრომა, რომელიც ცდილობს დაიცვას მცნებები კანონისა და რელიგიური წესები, ასევე შრომაც სწრაფვაში, რომ მიადწიონ წარმატებას ნებისმიერ სამუშაოში; ნებისმიერ ადამიანზე, ვინც შრომობს ასეთი დაძაბულობით, ყოველთვის დევს მძიმე ტვირთი.
- ბ. სიტყვაში „სიმშვიდე“ მხედველობაში გვაქვს არა მარტო განთავისუფლება შრომისა და ტვირთისაგან, რაც დაკავშირებულია კანონთან, რელიგიასთან ან რაიმე სამუშაოსთან ან ვალდებულებასთან, ასევე სრულყოფილი მშვიდობა და სრული დაკმაყოფილება.
- გ. მივიღოთ უფლის ტვირთი – ნიშნავს მივიღოთ მამის ნება; ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ მიმართულნი ან მართულნი რაიმე ვალდებულებით კანონის ან რელიგიის წინაშე ან რომ ჩვენ უნდა გავხდეთ მონები რაიმე სამუშაოს; ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ შეზღუდულნი მამის ნებით.
- დ. უფალი ცხოვრობდა სწორედ ასეთი სიცოცხლით; მისთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა არაფერს, გარდა თავისი მამის ნებისა (იოანე 4:34; 5:30; 6:38; ეს. 42:4ა; შდრ. 53:2; 11:1-4ა); ის იყო მთლიანად დამორჩილებული მამის ნებას (მათე 26:39, 42), ამიტომ ის გვთხოვს, რომ ჩვენ ვისწავლოთ მისგან (ეფეს. 4:20-21).
- ე. ვიყოთ თვინიერი, ან რბილი, – ნიშნავს არ შევეწინააღმდეგოთ დაპირისპირებას, ხოლო ვიყოთ მორჩილი – ნიშნავს არ გვექონდეს ჩვენი მოლოდინები; ის მთლიანად ემორჩილება თავისი მამის ნებას, მას არ უნდა არაფრის გაკეთება თავისთვის და არ ელოდება, რომ მიიღებს რაიმე სარგებელს თავისთვის; ამიტომ, როგორც არ უნდა ყოფილიყო ვითარება, მას ქონდა მოსვენება თავის გულში; ის იყო მთლიანად დაკმაყოფილებული მამის ნებით.

- ე. მოსვენება, რომელსაც ჩვენ ვპოულობთ, იმის მეშვეობით, რომ ვიღებთ უფლის უღელს და ვსწავლობთ მისგან, – ეს არის მოსვენება ჩვენი მშვივნებისათვის; ეს არის შინაგანი მოსვენება, და არ არის რაღაც გარეგნული თავისი ბუნებით.
- ზ. უფლის უღელი – არის მამის ნება, ხოლო მისი ტვირთი არის სამუშაო დაკავშირებული მამის ნების განხორციელებასთან; ასეთი უღელი არის სასიამოვნო, ის არ არის მძიმე, ხოლო ასეთი ტვირთი – მსუბუქი, და არა მძიმე – შდრ. მალ. 3:14.
- თ. ის, რომ უღელი სასიამოვნოა, ნიშნავს, რომ მისი უღელი, მამის ნება, არის „კარგი“, „კეთილი“, „მსუბუქი“, „ნაზი“, სასიამოვნო“ იმის საწინააღმდეგოდ, რაც არის „მძიმე“, „უხეში“, „მკვეთრი“, „მკაცრი“.

IV. გამოსვლის 31:12-17-ში ნაჩვენებია, რომ შაბათი მოჰყვება ბრძანებას საგანის აშენებასთან დაკავშირებით:

- ა. „დაიცავით ჩემი შაბათები, ნიშანია იგი ჩემსა და თქვენ შორის თაობიდან თაობამდე, რათა იცოდეთ, რომ მე ვარ იეჰოვა, თქვენი გამწმიდანებელი... დაიცვან ისრაელის შვილებმა შაბათი და თაობიდან თაობამდე უქმობდნენ შაბათს, მარადიულია ეს აღთქმა. მარადიული ნიშანია იგი ჩემსა და ისრაელის შვილებს შორის, რადგან ექვს დღეში შექმნა იეჰოვამ ზეცა და დედამიწა, ხოლო მეშვიდე დღეს მან იუქმა და დაისვენა“ – მუხ. 13, 16-17.
- ბ. მეშვიდე დღეს ღმერთმა „იუქმა და გაახლდა; ადამიანი იყო ღმერთის გაახლება, რადგან ადამიანი შექმნილი იყო ღმერთის სახებად სულით, რათა ადამიანს შეეძლო ურთიერთობა ჰქონოდა ღმერთთან და ყოფილიყო ღმერთის ამხანაგი და მისი წყვილი.
- გ. ჩვენ უნდა დავინახოთ შემდეგი ღვთაებრივი პრინციპი: ღმერთი თავიდან გვამარაგებს ჩვენ, გვაძლევს ჩვენ ტკობას, ხოლო შემდეგ ჩვენ ვმუშაობთ მასთან ერთად; იმისათვის, რომ ვიყოთ ერთი ღმერთთან მის სამუშაოში, ჩვენ უნდა დავტკბეთ მისით.
- დ. ორმოცდამეათე დღეს მოწაფეები აივსნენ უფლის ტკობით – „ისინი დათვრნენ ახალგაზრდა ღვინით“ (საქმე. 2:13); შემდეგ პეტრე და თერთმეტი აღვინ, რათა ემუშავათ უფალთან ერთად (მუხ. 14).
- ე. ღმერთის თვალსაზრისით, ეს არის მუშაობისა და მოსვენების საკითხი, ხოლო ადამიანის თვალსაზრისით, ეს არის მოსვენებისა და მუშაობის საკითხი; შედეგად ჩვენ ვმუშაობთ უფალთან იმის მეშვეობით, რომ ერთი ვართ მასთან.
- ვ. როგორც ღმერთის ხალხმა, ჩვენ უნდა ვატაროთ ჩვენზე იმის ნიშანი, რომ ჩვენ გვჭირდება ღმერთი როგორც ჩვენი ძალა, ენერჯია და ყველაფერი ჩვენთვის, რათა ჩვენ შევძლოთ მუშაობა მასთან ერთად ეკლესიის როგორც ქრისტეს სხეულის ასაშენებლად; ეს პატივს სცემს და განადიდებს მას – 1 კორ. 15:10, 58.
- ზ. ნიშანი, რომელსაც ჩვენ ვატარებთ ჩვენზე, არის ის, რომ თავიდან ჩვენ ვისვენებთ ღმერთთან ერთად, ვტკბებით ღმერთით, ვახლდებით ღმერთით და ვივსებით ღმერთით; შემდეგ ჩვენ ვმუშაობთ მასთან ერთად – იმით (უფლით), ვინც გვავსებს ჩვენ, მასთან ერთობაში; ეს არის მარადიული აღთქმა, მარადიული ხელშეკრულება, ღმერთთან.

V. ქრისტეთი როგორც კეთილი მიწით ტკობის საშუალება არის ღმერთის ცოცხალი და ქმედითი სიტყვა, რომელიც „ყოველგვარ ორღესულ ხმაღზე უფრო ბასრია, და აღწევს სამშვივნელისა და სულის, ძვლებისა და ტვინის გაყოფამდე, და შეუძლია გაარჩიოს გულის აზრები და ზრახვები“ – ებრ. 4:12:

- ა. ისრაელის შვილები არიან ჩვენი, ახალი აღთქმისეული მორწმუნეების წინასახე (1 კორ. 10:6ა, 11), ჩვენი მონაწილეობის თვალსაზრისით ღმერთის სრულ გადარჩენაში:

1. პირველ ეტაპზე ჩვენ ვიღებთ ქრისტეს, ჩვენ ვართ გამოსყიდულნი და ჩვენ თავი დაავალწიეთ ქვეყნიერებას, ზუსტად ისევე როგორც ისრაელის შვილებმა დაავალწიეს თავი ეგვიპტეს.
 2. მეორე ეტაპზე ჩვენ ვხდებით მოხეტიალე ხიზნები უფლის მიყოლაში, ზუსტად ისევე როგორც ისრაელის შვილები დახეტიალობდნენ უდაბნოში; ჩვენი ხეტიალი ყოველთვის ხდება ჩვენს სამშენიველში.
 3. მესამე ეტაპზე ჩვენ ვეზიარებით ქრისტეს და ვტკბებით მისით სრული ზომით, ზუსტად ისევე როგორც ისრაელის შვილები ეზიარებოდნენ კეთილი მიწის სიმდიდრეს და ტკბებოდნენ მისით; ჩვენ განვიცდით ამას ჩვენს სულში.
 4. ებრაელი მორწმუნეები ვერ ფიქრობდნენ თავიანთ გონებაში, თუ რა უნდა გაეკეთებინათ თავიანთ ებრაულ რელიგიასთან დაკავშირებით, და ეს ფიქრი მათ გონებაში იყო ხეტიალი სამშენიველში, და არა განცდა ქრისტესი მათ სულში.
- ბ. ებრაელთა მიმართ წერილის ავტორმა ურჩია ებრაელ მორწმუნეებს არ ეყოყმანათ თავიანთი სამშენიველის ხეტიალში, არამედ წასულიყვნენ წინ, თავიანთ სულში, რათა მოზიარებოდა ჰქონოდათ ზეციურ ქრისტესთან და დამტკბარიყვნენ მისით:
1. სწორედ ის ქრისტე, რომელიც ზის ტახტზე ზეცაში (რომ. 8:34), ახლა ასევე იმყოფება ჩვენში (მუხ. 10), ანუ ჩვენს სულში (2 ტიმ. 4:22), სადაც არის ღმერთის საცხოვრებელი (ეფეს. 2:22).
 2. ბეთელში, ღმერთის სახლში, ღმერთის საცხოვრებელში, რომელიც არის ზეცის კარიბჭე, ქრისტე არის კიბე და ის აერთებს დედამიწას ზეცასთან და მოაქვს ზეცა დედამიწაზე (დაბ. 28:12-17; იოანე 1:51); ვინაიდან დღეს ჩვენი სული არის ადგილი ღმერთის საცხოვრებლისა, ის წარმოადგენს ზეცის კარიბჭეს, სადაც ქრისტე არის კიბე, რომელიც გვაკავშირებს ჩვენ, ადამიანებს მიწაზე, ზეცასთან და მოაქვს ზეცა ჩვენთან.
 3. ამიტომ, ყოველთვის, როდესაც ჩვენ ვბრუნდებით ჩვენი სულისკენ, ჩვენ შევდივართ ზეციურ კარიბჭეში და ვეხებით მადლის ტახტს ზეცაში ქრისტეს როგორც ზეციური კიბის მეშვეობით – ებრ. 4:16.
 4. მერყევი ებრაელი მორწმუნეები დაეხეტებოდნენ თავიანთ სამშენიველში და უგულვებელყოფდნენ თავის სულს, მაგრამ ახალი აღთქმა მთლიანად არის მხოლოდ ჩვენს სულში, და არა ჩვენს სამშენიველში – რომ. 8:16; 2 ტიმ. 4:22; გალ. 6:18.
- გ. ებრაელი მორწმუნეების სამშენიველი, მის დაბნეულ გონებასთან ერთად, მის ეჭვებთან ღმერთის მიერ გადარჩენის გზასთან დაკავშირებით და მის ყურადღებასთან საკუთარი ინტერესებისადმი უნდა იყოს დამსხვრეული ღმერთის ცოცხალი, მოქმედი და შემომღწევი სიტყვით, რათა მათი სული იყოს გამოყოფილი სამშენიველისაგან – ებრ. 4:12:
1. როგორც ძვლის ტვინი დაფარულია სახსრებში ღრმად შიგნით, ასევე სული იმყოფება ღრმად სამშენიველის შიგნით; იმისათვის, რომ გამოყოს ძვლის ტვინი სახსრებისაგან, აუცილებელია სახსრების დამსხვრევა პირველ რიგში, და ზუსტად ასევე, იმისათვის, რომ გამოვეყოთ სული სამშენიველისგან, აუცილებელია სამშენიველის დამსხვრევა – 1 პეტ. 3:4.
 2. ყოველთვის, როდესაც ჩვენ ვკითხულობთ ბიბლიას, ის უნდა იყოს ცოცხალი, ენერჯის მომნიჭებელი და ბასრი, რათა გამოყოს ჩვენი სამშენიველი ჩვენი სულისაგან და გააჩიოს ჩვენი აზრები და ზრახვები, გახსნას, რომელი მათგანი გამოდის ჩვენი „მედან“ და მიმართულია ჩვენს „მეზე“, და რომელი

მათგანი გამოდის ღმერთისგან და მიმართულია ღმერთზე; ჩვენ უნდა შევაზავოთ სიტყვა რწმენასთან ყოველგვარი ღოცვის მეშვეობით, რათა ის იყოს ცოცხალი და ქმედითი – ებრ. 4:2; ეფეს. 6:17-18.

3. ღმერთის ცოცხალმა სიტყვამ უნდა შემოადწიოს ჩვენს არსებაში და თავი დაგვადწევიანოს ჩვენი გაუგებარი გონებისაგან და მოხეტიალე სამშენებლისაგან, შეგვიყვანოს ჩვენ ქრისტეში როგორც შაბათის მოსვენებაში ჩვენს სულში; ჩვენ არ უნდა ვიყოთ ისინი, ვინც მერყეობს თავისი სამშენებლის ხეტიალში; პირიქით, ჩვენ უნდა უარი ვთქვათ სამშენებელზე და წავიდეთ წინ, ჩვენს სულში, რათა ვეზიაროთ ზეციურ ქრისტეს და დავტკბეთ მისით, რაც ნებას მოგვცემს ჩვენ, რომ მონაწილეობა მივიღოთ უფლის მეფობის სამეფოს მოსვენებაში ათასწლეულში.